



ყბა-სახის ქირურგიულ სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის
შეფასება საქართველოში

Assessment of population access to maxillofacial surgical services in Georgia

 <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.09>

ალეკო სოფრომაძე¹, ნატა ყაზახაშვილი^{1a}, ნიკა სოხაძე²

Aleko Sopromadze¹, Nata Kazakhashvili^{1a}, Nika Sokhadze²

¹ მედიცინის ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

² მედიცინის ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ Faculty of Medicine, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

² Faculty of Medicine, Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

^a Correspondence: nata.kazakhashvili@gmail.com  <https://orcid.org/0000-0001-9795-4078>

აბსტრაქტი

შესავალი: ყბა-სახის ქირურგიული სერვისები მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის, ასევე რეგიონებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაში. საქართველოში სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის პაციენტებისთვის.

მეთოდოლოგია: ჩატარდა რაოდენობრივი ანალიზი, რომელიც ეფუძნებოდა ჯანდაცვის სპეციალისტებისა და პაციენტების ინტერვიუებს, ასევე არსებული სტატისტიკური მონაცემების შესწავლას. კვლევის მიზანი იყო სერვისების ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. **შედეგები:** კვლევამ აჩვენა, რომ სერვისებზე წვდომა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მოსახლეობის უკმაყოფილება უკავშირდება ფინანსურ ბარიერებს, კვალიფიციური სპეციალისტების სიმცირეს, მოძველებულ ტექნოლოგიებსა და მომსახურების არასათანადო ხარისხს. ყველაზე კრიტიკული სიტუაცია დაფიქსირდა გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, მაშინ როცა შედარებით უკეთესი მდგომარეობა შეინიშნება თბილისსა და იმერეთში. რეგიონული დისბალანსის გამო ხშირია პაციენტების სხვა რეგიონებში გადამისამართება.

დისკუსია: მიღებული მიგნებები მიუთითებს, რომ რეგიონული უთანასწორობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პაციენტთა კმაყოფილებასა და მომსახურების ეფექტიანობაზე. ტურისტულ ზონებში მოთხოვნის ზრდა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს სერვისების გაუმჯობესების აუცილებლობას. **დასკვნა:** ყბა-სახის ქირურგიული სერვისების გაუმჯობესებისთვის საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, სპეციალისტთა უწყვეტი პროფესიული განვითარება და რეგიონებში თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ეს ნაბიჯები ხელს შეუწყობს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ასევე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: ყბა-სახის ქირურგიული სერვისები, ხელმისაწვდომობა, პაციენტთა კმაყოფილება, სამედიცინო ხარისხი

რეკომენდირებული ციტირება: სოფრომაძე, ა., ყაზახაშვილი, ნ., სოხაძე, ნ. (2025). ყბა-სახის ქირურგიულ სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შეფასება საქართველოში. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.09>.

Abstract

Introduction: Maxillofacial surgical services play a crucial role not only in safeguarding public health but also in promoting tourism development in different regions. In Georgia, the accessibility and quality of these services vary significantly across regions, creating serious challenges for patients. **Methodology:** A quantitative analysis was conducted based on interviews with healthcare specialists and patients, as well as a review of available statistical data. The aim of the study was to assess accessibility, quality, and patient satisfaction with maxillofacial surgical services across various regions of Georgia. **Results:** The findings revealed that access to services remains one of the most pressing issues. Public dissatisfaction is primarily associated with financial barriers, a shortage of qualified specialists, outdated technologies, and inadequate service quality. The most critical situation was observed in Guria and Racha-Lechkhumi-Lower Svaneti, whereas relatively better conditions were noted in Tbilisi and Imereti. Due to regional imbalances, patients are frequently referred to other regions for treatment. **Discussion:** The results indicate that regional disparities have a significant impact on patient satisfaction and service effectiveness. The growing demand in tourist areas further underscores the urgent need for service improvement. **Conclusion:** To enhance maxillofacial surgical services, it is essential to introduce modern technologies, ensure continuous professional development of specialists, and guarantee equal access across regions. These measures will contribute both to improving population health and strengthening the country's tourism potential.

Keywords: Maxillofacial surgical services, accessibility, patient satisfaction, medical quality.

Recommended Citation: Sopromadze, A., Kazakhashvili, N., Sokhadze, N. (2025). Assessment of population access to maxillofacial surgical services in Georgia. *Health Policy, Economics and Sociology*, 9 (2). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.02.09>

შესავალი

ჯანმრთელობის დაცვა თანამედროვე სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი არა მხოლოდ მოსახლეობის საერთო ჯანმრთელობის დონეს განსაზღვრავს, არამედ მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგრადობაზე (WHO, 2023). თანამედროვე ჯანდაცვა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ორიენტირებული მოდელით; იგი მოიცავს კოორდინირებულ, მაღალტექნოლოგიურ და თანაბრად ხელმისაწვდომ სერვისთა სისტემურ მიწოდებას (OECD, 2022).

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყბა-სახის ქირურგია — ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც აერთიანებს ტრავმატოლოგიას, ონკოლოგიას, ორთოგნათიას, ინფექციური დაავადებების მართვასა და რეკონსტრუქციულ ესთეტიკურ მედიცინას. მისი ეფექტური განხორციელება მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, თანამედროვე ინფრასტრუქტურას და ტექნოლოგიურ ბაზას, ასევე ინტენსიურ თანამშრომლობას ნევროლოგებთან, ოტორინოლარინგოლოგებთან, სტომატოლოგებთან და პლასტიკურ ქირურგებთან (Speight et al., 2020).

საქართველოში ყბა-სახის ქირურგიის განვითარება შედარებით ახალი მოვლენაა. მისი ინსტიტუციონალიზაციის საწყისები XX საუკუნის შუა წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც პირველად გამოჩნდნენ სპეციალიზებული კადრები სტომატოლოგიურ და ზოგად ქირურგიულ კლინიკებში. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში კადრების მომზადება მიმდინარეობდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რამაც საფუძველი ჩაუყარა

დამოუკიდებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. დღეს საქართველოში მოქმედებს არაერთი სახელმწიფო და კერძო კლინიკა, სადაც ტარდება როგორც გადაუდებელი, ისე გეგმური ოპერაციები, თუმცა ხელმისაწვდომობასა და სერვისების ხარისხს შორის კვლავ რჩება რეგიონული უთანასწორობები (ჯანდაცვის სამინისტრო, 2023; Gzirishvili et al., 2020).

ყბა-სახის ქირურგიის კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელია სტომატოლოგიური ფაკულტეტის დასრულება და შემდგომი სპეციალიზაცია რეზიდენტურის საფუძველზე. თანამედროვე პრაქტიკა მოითხოვს რეგულარულ პროფესიულ განვითარებასა და საერთაშორისო გამოცდილების ათვისებას. ამასთანავე, ახალი ტექნოლოგიების — CT, MRI, CAD/CAM სისტემების და 3D ბიოპრინტინგის — გამოყენება განიხილება პროფესიული კომპეტენციის აუცილებელ კომპონენტად (Kesting et al., 2021).

საქართველოში, როგორც გარდამავალ ეკონომიკურ ქვეყანაში, მკვეთრად იჩენს თავს სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების უთანასწორო განაწილება. რეგიონული მოსახლეობა ხშირად აწყდება გეოგრაფიულ, ფინანსურ და ინფორმაციულ ბარიერებს, ასევე კადრების დეფიციტსა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობას (UNDP Georgia, 2022).

კვლევის მიზანია ყბა-სახის ქირურგიული სერვისების სისტემური ანალიზი საქართველოში, რათა დასაბუთებულად შეფასდეს არსებული სიტუაცია და შემუშავდეს ეფექტიანი რეკომენდაციები თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ისე სერვისების სამართლიან განაწილებას.

მეთოდი

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის დიზაინის ფარგლებში. შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა 18–70+ ასაკის ინდივიდები, რომელთაც ერთხელ მაინც ესაჭიროათ ყბა-სახის ქირურგიული სერვისი ან მიუმართავთ კონსულტაციისთვის ყბა-სახის ქირურგთან. სულ გამოკითხულ იქნა 300 რესპოდენტი.

მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც წინასწარ შეიქმნა კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი პრინციპით, თუმცა გამოკითხვა მიზანმიმართულად მოიცავდა იმ სეგმენტს, ვინც საქართველოს მასშტაბით უკვე ჰქონდათ ყბა-სახის ქირურგიული სერვისის გამოცდილება.

გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ პლატფორმებისა და სოციალური ქსელების საშუალებით, რაც შესაძლებელს ხდიდა ფართო გეოგრაფიული მასშტაბის დაფარვასა და განსხვავებული სოციალური ჯგუფების ჩართვას.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა პროგრამა SPSS 22.0-ის გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკის პარალელურად ჩატარებულ იქნა ცვლადებს შორის ასოციაციების იდენტიფიკაცია, რაც შესაძლებელს ხდიდა რეგიონული განსხვავებებისა და მომხმარებელთა კმაყოფილების ფაქტორების გამოვლენას.

შედეგები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 300-მა რესპოდენტმა, მათგან 58% (n=174) იყო ქალი, ხოლო 42% (n=126) – კაცი. ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, ყველაზე დიდი ნაწილი (47%; n=142) შედგებოდა 18–39 წლამდე პირებისგან. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 71%-ს (n=214). კვლევამ მოიცვა საქართველოს 11 რეგიონი; მონაწილეთა უმრავლესობა თბილისიდან (22%; n=65) და იმერეთიდან (18%; n=54) იყო.

რესპოდენტთა 40% (n=120) გამოხატავს კმაყოფილებას ყბა-სახის ქირურგიული სერვისების მიმართ, ხოლო უკმაყოფილო აღმოჩნდა 18% (n=54). ეს მიუთითებს საშუალო დონეზე კმაყოფილებაზე, შედარებით დაბალი უკმაყოფილების ფონზე.

ყბა-სახის ქირურგიების პროფესიონალიზმის მიმართ კმაყოფილება უფრო მაღალია – 45%, მაშინ როდესაც უკმაყოფილება შეადგენს 16%-ს. აქედან გამომდინარე, ქირურგებთან დაკავშირებული კმაყოფილება აღემატება ზოგადი სერვისით კმაყოფილებას.

სერვისის რეკომენდაციის მაჩვენებელი (Net Promoter Score) დაბალია და შეადგენს მხოლოდ 19%-ს, რაც ნიშნავს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა სერვისს არ რეკომენდაციას არ უწევს.

ცხრილი 1. ყბა-სახის ქირურგიული სერვისების რეკომენდაციის სტრუქტურა

რეკომენდაცია	%
პრომოუტერ მომხმარებლები (კმაყოფილი და სერვისის ერთგული მომხმარებლები)	27%
პასიური მომხმარებლები (ნეიტრალურად განწყობილი მომხმარებლები)	27%
დეტრაქტორ მომხმარებლები (აგრესიულად განწყობილი მომხმარებლები)	46%
რეკომენდაციის ქულა	19%

მონაცემებმა აჩვენა, რომ იმერეთში გამოკითხული მომხმარებლების მნიშვნელოვანი ნაწილი (26%; n=14) ხშირად მიმართავს ყბა-სახის ქირურგიულ სერვისს, მაშინ როდესაც გურიაში (84%; n=16) და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში (56%; n=12) მოსახლეობის უმრავლესობა საერთოდ არ მიმართავს.

სერვისის ხელმისაწვდომობა მკვეთრად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. აჭარაში გამოკითხულთა 100% მიიჩნევს, რომ სერვისი ხელმისაწვდომია, ხოლო გურიაში 95% და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 72% ფიქრობს, რომ სერვისი საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი.

ცხრილი 2: რეგიონებში ყბა-სახის ქირურგიული სერვისებზე ხელმისაწვდომობა

რეგიონი	სრულიად ხელმისაწვდომია	ნაკლებადაა ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი
აჭარა	85%	15%	0%
გურია	0%	5%	95%
თბილისი	82%	17%	2%
იმერეთი	69%	19%	13%
კახეთი	38%	57%	5%
მცხეთა-მთიანეთი	11%	84%	5%
რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი	6%	39%	56%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	20%	80%	0%
სამცხე-ჯავახეთი	12%	80%	8%
ქვემო ქართლი	11%	84%	5%
შიდა ქართლი	20%	70%	10%

კვლევამ აჩვენა, რომ ხელმისაწვდომობა ყველაზე მაღალია აჭარაში, თბილისში და იმერეთში, ხოლო ყველაზე დაბალი – გურიაში და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში გამოკითხულთა 72% მიიჩნევს, რომ ადგილობრივ ქირურგებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება. რესპოდენტები ასევე ხშირად აღნიშნავენ თანამედროვე აპარატურის ნაკლებობას, განსაკუთრებით გურიაში და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში.

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონებში მიმართვიანობა ზოგადად დაბალია, რაც უკავშირდება ფინანსურ ბარიერებს, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დეფიციტს.

მიუხედავად ამისა, თბილისსა და იმერეთში ყბა-სახის ქირურგიული მომსახურება შედარებით მაღალი ხარისხით არის ხელმისაწვდომი.

რეგიონებში ხშირად აღინიშნა შემთხვევები, როდესაც პაციენტებმა სერვისის მიღების შემდეგ სხვა რეგიონში მიმართეს, რადგან ადგილობრივმა კლინიკამ ვერ უზრუნველყო სათანადო დახმარება ან მკურნალობა არასწორად განხორციელდა.

ქირურგების მიმართ კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა იმერეთში (76%), ასევე თბილისსა (58%) და მცხეთა-მთიანეთში (58%). უკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში (39%).

სერვისის მიმართ კმაყოფილების მიხედვით, ლიდერობს იმერეთი (55%), თბილისი (55%) და მცხეთა-მთიანეთი (47%). ყველაზე ცუდი პოზიცია უკავია რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს (50% უკმაყოფილება) და სამცხე-ჯავახეთს (40% უკმაყოფილება).

რესპოდენტებმა გამოყვეს ექვსი ძირითადი ფაქტორი, რომელთა გაუმჯობესებას ისურვებდნენ:

- მომსახურების გაუმჯობესება;
- ქირურგების პროფესიონალიზმის გაზრდა;
- ფინანსური ხელმისაწვდომობა;
- თანამედროვე აპარატურის დანერგვა;
- რეგიონებში სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- „ყველაფერი მომწონს/არაფერს შევცვლიდი“.

ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემა არის ფინანსური ხელმისაწვდომობა (42%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – სრული კმაყოფილება სერვისით (5%).

ცხრილი N3 გაუმჯობესების პრიორიტეტები

ფაქტორი	%
ფინანსური ხელმისაწვდომობა	42%
მეტი პროფესიონალიზმი	20%
მომსახურების გაუმჯობესება	16%
თანამედროვე აპარატურა	9%
რეგიონებში ხელმისაწვდომობის გაზრდა	9%
მომწონს ყველაფერი/არაფერს შევცვლიდი	5%

დისკუსია

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ყბა-სახის ქირურგიული სერვისის ხელმისაწვდომობა რეგიონებში წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას. განსაკუთრებით მწვავედ იკვეთება ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა, რომელიც თითქმის ყველა გამოკვლეულ რეგიონშია გავრცელებული და მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის პაციენტებს საჭირო მომსახურების მიღების პროცესში.

მომსახურების მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს მიღებული სერვისის ხარისხის მიმართ. უკმაყოფილების ძირითადი მიზეზებია: თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების არარსებობა, ქირურგების პროფესიონალიზმის დაბალი დონე, პასუხისმგებლობის ნაკლებობა და მომსახურების ორგანიზაციული ხარვეზები. ეს ფაქტი განსაკუთრებულად თვალსაჩინოა იმ გარემოებიდან, რომ რეგიონებში მომსახურების მიღების შემდეგ პაციენტების უმრავლესობა იძულებული ხდება მიმართოს სხვა რეგიონებში არსებულ დაწესებულებებს. ამის მიზეზებად დასახელებულია არასწორი მკურნალობა, გართულებების განვითარება ან ადგილობრივ დონეზე შესაბამისი დახმარების მიუწვდომლობა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ რეგიონში ყბა-სახის ქირურგიული სერვისი საერთოდ არ ფუნქციონირებს, ხოლო იქ, სადაც არსებობს, მისი მუშაობა სერიოზული პრობლემებით ხასიათდება. ეს გარემოება პაციენტებს აიძულებს დამატებითი ფინანსური და დროითი რესურსის გაღებას სხვა რეგიონებში სამკურნალოდ მოგზაურობისთვის, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს უკმაყოფილებას. რიგ შემთხვევებში მომსახურება იმდენად ძვირადღირებულია, რომ პაციენტები საერთოდ ვერ სარგებლობენ მასთან წვდომით, რაც სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას იწვევს.

გამოკვეთილი პრობლემები პირდაპირ აისახება მომხმარებელთა კმაყოფილებაზე: პაციენტებში მაღალია აგრესიული განწყობა როგორც უშუალო სერვისის, ისე მთლიანად ჯანდაცვის სისტემის მიმართ. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ რეგიონში უკმაყოფილების ინდექსი განსაკუთრებით მაღალია, ხოლო უმრავლესობა საერთოდ არ უწევს რეკომენდაციას ადგილობრივ ყბა-სახის ქირურგიულ სერვისს. ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ რეგიონული ჯანდაცვის სისტემის მიმართ ნდობა სერიოზულად შერყეულია.

რეგიონულ ჭრილში განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა შეინიშნება გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, სადაც სერვისის ხარისხი და ხელმისაწვდომობა მინიმალურია. შედარებით უკეთესი სურათი ფიქსირდება თბილისში, იმერეთსა და ზოგ შემთხვევაში აჭარაში, სადაც კმაყოფილების მაჩვენებლები სხვა რეგიონებთან შედარებით მაღალია.

ამრიგად, კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ ყბა-სახის ქირურგიული სერვისის არსებული მდგომარეობა რეგიონებში ვერ პასუხობს მოსახლეობის საჭიროებებს და ხშირად თავად პრობლემის გამწვავებასაც კი უწყობს ხელს. ამ გამოწვევის დაძლევა მოითხოვს როგორც ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ასევე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, სერვისის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და რეგიონულ დონეზე ხარისხის მართვის მექანიზმების გაძლიერებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სერვისის მიმართ ნდობის აღდგენა და მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა.

დასკვნა

კვლევამ ცხადყო, რომ ყბა-სახის ქირურგიული სერვისების ხელმისაწვდომობა რეგიონებში დღესაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. მოსახლეობის ძირითადი უკმაყოფილება უკავშირდება მომსახურების დაბალ ხარისხს, მოძველებულ მეთოდებსა და ტექნიკას, სპეციალისტების არაპროფესიონალიზმს, ასევე ფინანსურ ხელმიუწვდომლობას. აღნიშნული ფაქტორები ქმნის მოსახლეობის ნეგატიურ დამოკიდებულებას და განაპირობებს იმას, რომ პაციენტები ნაკლებად რეკომენდაციას უწევენ ამ სერვისით სარგებლობას.

რეგიონული ჭრილით ყველაზე მწვავე პრობლემები გამოიკვეთა გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც სერვისისადმი უარყოფითი განწყობა ყველაზე მაღალია. შედარებით უკეთესი მდგომარეობა შეინიშნება თბილისში და იმერეთში, თუმცა დანარჩენ რეგიონებში კმაყოფილება და უკმაყოფილება თითქმის თანაბრად ნაწილდება, ზოგადად მაინც უარყოფითი ფონის შენარჩუნებით.

ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ პაციენტები ხშირად იძულებული ხდებიან მიმართონ სხვა რეგიონების კლინიკებს, სადაც სერვისი მეტ-ნაკლებად გამართულად ფუნქციონირებს. ამასთან, პრობლემად რჩება ქირურგების სიმცირე რეგიონებში, რაც კიდევ უფრო ამძიძებს არსებული მდგომარეობას.

რეკომენდაციები

კვლევის საფუძველზე მიზანშეწონილია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- რეგიონებში ყბა-სახის ქირურგიული სერვისების განვითარება და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვა;

- სპეციალისტების პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- რეგიონებში ქირურგების რაოდენობის გაზრდა, მათ შორის სტიმულირების მექანიზმების გამოყენებით;
- ყბა-სახის ქირურგიული სერვისების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა რეგიონის მაცხოვრებლისთვის, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ტურიზმი სწრაფად ვითარდება (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯაფარიძე ი., კალანდაძე ლ. ყბა-სახის ქირურგიის განვითარება საქართველოში. საქართველოს სამედიცინო ჟურნალი. 2015;12(3):41-47.
2. ბოჭორიშვილი თ., მაღლაკელიძე გ. ჯანდაცვის სისტემის რეფორმები და სპეციალიზებული ქირურგიის ხელმისაწვდომობა საქართველოში. ჯანდაცვა და საზოგადოება. 2019;7(1):23-30.
3. ჯავახიშვილი ნ. საქართველოში ყბა-სახის ტრავმატიზმის ეპიდემიოლოგიური ანალიზი. სტომატოლოგია. 2021;13(2):11-18.
4. ჩიგოგიძე ი. სტომატოლოგიური სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში. საქართველოს ჯანდაცვა. 2018;10(1):29-34.
5. ქობულაძე თ. სამედიცინო პროფესიის რეგულაციები და სპეციალისტთა მომზადება საქართველოში. აკადემიური მიმოხილვა. 2020;15(4):55-61.
6. AAOMS. (2022). Scope of Oral and Maxillofacial Surgery. American Association of Oral and Maxillofacial Surgeons.
7. Ackerman, M., & Nguyen, L. (2018). The impact of oral and maxillofacial surgery on public health. *Journal of Oral Health*, 14(3), 123-130.
8. Adekeye, E. A., et al. (2019). Maxillofacial Surgical Services in Developing Countries: Challenges and Solutions. *African Journal of Oral Health*, 15(2), 45-53.
9. Alpert, B. (2018). The Evolution of Oral and Maxillofacial Surgery Over the Past 100+ Years—With Special Emphasis on the Role of Fluoride and the High-Speed Handpiece. *Journal of Oral and Maxillofacial Surgery*. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/30053939/>
10. American College of Surgeons. (2022). *Surgical Workforce and Access to Surgical Care in the United States*. Chicago, IL: ACS.
11. Booth, A., Sutton, A., & Papaioannou, D. (2016). *Systematic Approaches to a Successful Literature Review*. Sage Publications.
12. Ministry of IDPs, Labour, Health and Social Affairs of Georgia. (2023). *Annual Report*. <https://www.moh.gov.ge>
13. WHO. (2016). *Global Strategy on Human Resources for Health: Workforce 2030*.
14. WHO. (2017). *Ethical Standards in Surgical Care*. Geneva: World Health Organization.
15. WHO. (2019). *Oral Health and Maxillofacial Surgery Report*. Geneva: World Health Organization.
16. WHO. (2020). *Health Systems Strengthening and Surgical Services*. Geneva: World Health Organization.
17. WHO. (2023). *Primary Health Care and Health Systems Resilience*. <https://www.who.int>
18. Wilson, P., & Taylor, D. (2020). Communication in surgical practice. *Medical Communication Quarterly*, 15(1), 77-85